მომიჯნავე შენობა-ნაგებობის

კონსტრუქციული დასკვნა

განიხილება ქ.თბილისში, ჩუბინიშვილის ქ. 55-ში განლაგებული ყოფილი პურის ქარხნის არსებული ნაგებობების ნაწილში არსებული სათავსოების ადგილას დაპროექტებული შენობის მიშენებების სავარაუდო გავლენის საკითხი გვერდზე მდგომ შენობებზე.

კონსტრუქციულ დასკვნაში, სადაც იყო განხილული მიშენებების მოწყობის საკითხი, იყო აღწერილი არსებული კონსტრუქციები, რომლების ადგილას უნდა დამონტაჟდეს ახალი კონსტრუქციები. მოყვანილია ყველა არგუმენტი, რომ ახალი ბევრად მსუბუქი კონსტრუქციები, არსებული შენობას (პირობითად წოდებული „ბ“კორპუსად) ზიანს ვერ მიაენებს.

10 მეტრის რადიუსში „ბ“ კორპუსის ერთ მხარეს განლაგებულია ყოფილი ქარხნის ძირითადი საწარმო კორპუსი (პირობითად წოდებული „ა“ კორპუსად).წარმოადგენს ნაგებობების კომპლექს, რომელიც შედგება ძირითადი სამსართულიანი შენობიდან, რომელზეც არის მიმდგარი კოშკური ტიპის კიბის უჯრედი. ამ კორპუსის გაგრძელებაზე ფასადის მხრიდან განლაგებულია კომპლექსის მეორე შენობა, რომელიც წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას, ნახევარ სარდაფით. ყველა ამ შენობების კარკასები გადაწყვეტილია შერეულ კონსტრუქ-ციებში: შენობის მთელ პერიმეტრზე კარკასის ვერტიკალურ ელემენტებათ გამოიყენება აგურის წყობით შესრულებული მზიდი კედლები და შენობების შიდა ნაწილებში მონოლითური რკ.ბ. სვეტები. ყველა სართულშორის გადახურვა წარმოადგენს მონოლითურ რკ.ბ. ფილებს, რომლებიც მოწყობილია რკ.ბ. კოჭოვან უჯრედების სისტემებზე და მზიდ კედლებზე. შენობის სახურავი ბრტყელია, მასზე შეიძლება გასვლა ცენტრალური კიბის უჯრედის მეშვეობით.

„ბ“ კორპუსის გაგრძელებაზე მეორე მხრიდან ქარხნის ტერიტორიაზე განლაგებულია ყოფილი ქარხნის კიდევ ერთი საწარმო კორპუსი (პირობითად წოდებული „გ“

კორპუსად). . ის წარმოადგენს ერთსართულიან შენობას. შენობის კარკასი გადაწყვეტილია შერეულ კონსტრუქციებში: კარკასის ვერტიკალურ

ელემენტებათ გამოიყენება აგურის წყობით შესრულებული მზიდი კედლები და მონოლითური რკ.ბ. სვეტები, შენობის გადახურვის კონსტრუქცია წარმოადგენს მონოლითურ დახრილ რკ.ბ. ფილას, მოწყობილ მონოლითურ რკ.ბ. კოჭების სისტემაზე. შენობის სახურავი წარმოადგენს რბილ ბურულს, მოწყობილ მონოლითურ ფილაზე.

„ბ“ კორპუსი კონსტრუქციები დამოუკიდებელია გვერდზე მდგომი კონსტრუქციებიდან, თანაც ახალი მიშენებები კეთდება ძველ მიშენებების ადგილას.ფაქტიურად ახალი კონსტრუქციები იმეორებენ ძველ კონსტრუქციების მონახაზს, მაგრამ შესრულებული არიან მსუბუქ სამშენებლო მასალებში.

აქედან გამომდინარე მეორე საწარმო კორპუსის (პირობითად წოდებული „ბ“ კორპუსად).ახალი მიშენებების კარკასების მოწყობა კონსტრუქციულად არავითარ ზიანს არ მიაყენებს გვერდზე მდგომ „ა“ და „ბ“ კორპუსების კონსტრუქციებს.

კონსტრუქტორი: / ლიანა ზატუაშვილი/

პირადი ნომერი 01024050053: მობ.ტელ. 5-77-71-30-84